


# პიქონთა გითგრაფია



საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლაბორატორიის ყოველთვიური გაზეთი \* 1998 წლის სექტემბერი №6 ფასი 40 თეთრი

## სამეოვლო



## ხალისუფლება

### სწორი სტატისტიკა, სწორი აღრიცხვითობა, სახელმწიფოს ფინანსური წყაროები

ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე რადიკალურმა რეფორმებმა, თვისებრივად ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ქვეყანაში მრეწველობის სტატისტიკის მოწყობა. ამის თაობაზე სხვა საკითხებთან ერთად, 12 აგვისტოს იმსჯელეს მთავრობის სხდომაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. მოისმინეს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თემურ ბერიძის ინფორმაცია „საქართველოს მრეწველობაში სტატისტიკური აღრიცხვის მდგომარეობის და მისი სრულყოფის შესახებ“.

ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, ბოლო შვიდი წლის მანძილზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქმედი სამრეწველო საწარმოების რაოდენობა და მათმა რიცხვმა, წლეულს პირველ ივლისს 3884 ერთეული შეადგინა. სწორედ სამრეწველო საწარმოთა (განსაკუთრებით, მცირე საწარმოების) ესოდენ სწრაფი ტემპით მონარავლებამ, დღის წესრიგში დააყენა ინფორმაციული ნაკადების მოწესრიგების, მონაცემთა შეგროვება - დამუშავების და სტატისტიკური გამოკვლევების ძირითადი ეტაპების განხორციელებისადმი ახლებურად მიდგომა. ამ მიმართებით პირველი, რასაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უურადღება მიაქცია, მრეწველობის დარგში მოქმედი სასწრაფო (ყოველთვიური), კვარტალური და წლიური ანგარიშგების ფორმების მანუალებები იყო.

თემურ ბერიძემ ინფორმაციული ნაკადების ახლებურად აწყობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ქვეყნის სამრეწველო საწარმოებიდან სტატისტიკური ინფორმაციის მოზიდვის ცენტრალიზებული წესის დეცენტრალიზებული წესით შეცვლა მიიჩნია. ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ ორმაგი სარგებლობა მოგვიტანა, თქვა და იქვე დაასაბუთა. ჯერ ერთი, ცენტრში პირველადი ინფორმაცია თავს იყრის

რეგიონული სტატისტიკური ორგანოების მეშვეობით, რამაც გაზარდა ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სტატისტიკის ორგანიზაციის საქმეში, მეორეც, მმართველობის ტერიტორიულ ორგანოებს საშუალება მიეცათ ოპერატიულად ფლობდნენ სიტუაციას მხარის, ქალაქისა და რაიონის მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ქვეყნის სტატისტიკოსები საქმიან რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ქვეყანაში მრავალპროფილიანი საწარმოების (2-3 დამეტი სახეობით) აღმოცენებამ და ძირითადი, ტრადიციული სახეობების ხშირმა მონაცვლეობამ, მათი საქმიანობის სტატისტიკური დახასიათება სტატისტიკური ანგარიშგების ძველი ფორმებით, შეუძლებელი გახადა. და, ამჟამად შემუშავებულია სამეწარმეო სტატისტიკის ახალი ინტეგრირებული ფორმები კვარტალური და თვის პერიოდულობით. მოცემული ფორმების აპრობირება მოეწყო თბილისის ყველა სახის საქმიანობისა და საკუთრების დიდ, საშუალო და მცირე საწარმოებში. კვარტალური პერიოდულობის ფორმები დანერგვილია ქვეყნის სხვა რეგიონების მიხედვითაც, ხოლო თვის პერიოდულობის ფორმების სამოქმედოდ შემოღებას იენისის შედეგების მიხედვით აპირებენ. სამეწარმეო აქტივობის დახასიათებლად ყოველკვარტალურად გასაშუქებელ საკითხთა წრე ასეთია: დასაქმება, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) მოცულობა, ბრუნვის მანუალებული, პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები, ფინანსური მდგომარეობა (მოგება, ზარალი). სამეწარმეო სტატისტიკის ახალი ინტეგრირებული ფორმების შემოღებით საშუალება გვექნება თითოეული საწარმოს დონეზე დაეხასიათოთ მილიონი გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება.

(დასასრული მე-2 გვ.)

## ნოვარუია:

3



ნივორკაბიის  
ამოსაველი გავა

დავაფიქრებელი  
დამოგრაფიული  
ვითარება

5, 6

მგზავი და უსაფრთხო  
განვითარების სონილურ-  
დემოგრაფიული პოლიტიკა

5

7



ვაშა  
ლორთქივანიკა,  
საქართველოს  
სახელმწიფო  
მინისტრი,  
ეკონომიკის  
მეცნიერებათა  
დოქტორი.

რუჟიკა ტუცუაშვილი თუჩქაითი

ხელისუფლება

სწორი სტატისტიკა, სწორი აღრიცხვები, სახელმწიფოს ფინანსური წყაროები

(პირველი გვერდიდან)

ეს კი ქვეყნისა და მისი რეგიონების მიხედვით მაკროეკონომიკური განვითარების საწარმოებლად აუცილებელი კომპონენტებია, - თქვა თემურ ბერიძემ.

ტიკური სამსახური მოწოდებულია დაახასიათოს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ტენდენციები და მიმართულებები ზოგადად და არა თითოეული საწარმოს მიხედვით. სამეწარმეო აქტივობის „ცენზობრივი მეთოდით“ დაახასიათების კარგი შედეგები აღინიშნა ჩვენს დედაქალაქში.

დღეს, ეს განსაკუთრებით მცირე საწარმოებს ეხება. ასევე ხდება დანახარჯების მანქანების ხელშეწყობის გაზრდა და ამის წყალობით მოგების მანქანების შეგნებულად შემცირება. ასევე ძველი დასაჯერებელია, რომ მთელი რიგი საწარმოებისა თბილისში სტატინფორმაციის მიხედვით თითქოს გაჩერებულია, ეს მაშინ, როდესაც „თელასის“ მონაცემებით ამ საწარმოს ელექტროენერჯის საკმაოდ დიდი ხარჯი აქვთ. ამ საკითხში საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად სათანადო ცვლილებებია შესატანი ამჟამად მოქმედ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში.

რეგიონების მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მუშაობის სიკეთე თანდათან იგრძნობა, რომ უიმპასლოდ, რასაც ეს სამსახური იძლევა, ქვეყნის მართვა და მუშაობა წარმოუდგენელია; სულ ცოტა ხნის წინათ, როცა მეწარმეობა კლასიკური ფორმით საქართველოში არ არსებობდა, ოდნოდ კი ოჯახები გადარჩენილიყო, ხალხს თავი ურჩინა და ბევრ რაიმეზე ხელისუფლება შეგნებულად თვალს ხუჭავდა, იმ დროს სტატისტიკის ყურადღებას ვერ ვაქცევდით, მათ შორის, ჩრდილოეთი, ეკონომიკის აღრიცხვას.

შიდა ქართლი

კალენდარული გვერდის შესაბამისად, წლის დასაწყისშივე მოუწუო ინსტრუქტაჟები საქალაქო დასახლებებში სახლების და სასოფლო დასახლებებში სოფლის დასახლებული პუნქტების სივრცის შედგენას. ხოლო 1 თებერვლიდან 15 მარტამდე შედგა სახლებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების სივრცე. ამ დროს გამოვლინდა და შესწორდა საკმაოდ ბევრი უზუსტობა რაიონების რუკებსა და საქალაქო დასახლებების სქემატურ გეგმებში, საჭირო გახდა სახლების შელასხალი გადამხარება.

მხარეში შეძრავალი რაიონების სასოფლო დასახლებული პუნქტების სივრცე დადგენილ ვადებში შედგა. მათ შორის, ამჟამად გორის რაიონში შეძრავალი, უოფელი ცხინვალის რაიონის სოფლის იმ საკრებულოებშიც, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია (ქურთის და ერედვის თემები).

დამთავრდა აღწერის საორგანიზაციო გეგმების შედგენა, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს. ამჟამად მიმდინარეობს კადრების შერჩევა მხარეში აღწერის ჩასატარებლად.

შექების ღირსია შიდა ქართლის სამხარეო სტატსამმართველოს რწმუნებული აღწერის საკითხებში დალი გოგიე, რომელმაც დიდი შრომა ჩააქსოვა აღწერის მომზადებაში. მისი ინიციატივით გორის ადგილობრივ გაზეთ „გორის მოამბეში“ და სამხარეო გაზეთ „ქართლში“ წლეულს გამოქვეყნდა 4 წრილი მოსახლეობის აღწერის საკითხებზე, ფართოდაა გაშუქებული აღწერის მიზნები, ამოცანები, რაიონის პრობლემები აღწერის მოსამზადებელ პერიოდში, მოსახლეობას მოუწოდებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ უმნიშვნელოვანეს კამპანიაში.

ტარიელ ვაშაყიძე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს მთავარი ეკონომისტი.

უახლესი ინფორმაცია უინამეურნეობებზე


სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებულის „საქართველოს შინამეურნეობები 1997 წელს“ გამოსვლას. დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ბერიძემ, შინამეურნეობების კვლევისა და ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს უფროსმა რევაზ წაქაძემ და თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ არჩვაძემ უურნალობის საფუძვლიანად წარმოუჩინეს ამ კრებულის გამოცემის მნიშვნელობა - ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაახასიათება ძირითადად შინამეურნეობების შერჩევითი კვლევების მეშვეობით ხორციელდება.

კრებული მოიცავს მრავალმხრივ, მდიდარ ინფორმაციას საქართველოს შინამეურნეობების შესახებ რეგიონულ, ცენტრში, დემოგრაფიულ, ქონებრივ და სხვა კრიტერიაში. მკითხველი სრულად გაეცნობა ინფორმაციას საქართველოს შინამეურნეობების სიდიდის, სტრუქტურის, შემოსავლების, ხარჯებისა და სხვა მრავალი ასპექტის მიხედვით. პრესკონფერენციაზე გაანალიზდა ზოგიერთი ძირითადი ინდიკატორი. მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის საკითხებიდან უმთავრესი უმუშევრობის დონის მაჩვენებელია: 1997 წელს უმუშევრობის დონე საშუალოდ 7,7 პროცენტი (შერბილებული კრიტერიუმით - 11,7%) იყო. ამასთან, თუ სოფლებში უმუშევრობის დონე 2,7 პროცენტი იყო, ქალაქებში იგი 13,2%-ს აღწევდა. შერბილებული კრიტერიუმით უმუშევრობის დონე ქალაქებში რამდენადმე მაღალი იყო. კერძოდ, თბი-

ლისში ეკონომიკურად აქტიური მოზრდილი 4 მოსახლიდან ერთი უმუშევარია. სამაგიეროდ, სოფლად თვითდასაქმების წყალობით უმუშევრობა მინიმალურია. უმუშევრობა თანაბრად განაწილებული ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაგრამ იგი განსაკუთრებით მწვავეა ახალგაზრდებში. ქვეყანაში შერბილებული კრიტერიუმის მიხედვით საშუალოდ ყოველი მეხუთე ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდა უმუშევარია (თბილისში - ყოველი მეორე). უმუშევრობის ეს საშუალო დონე, თუ მას გამოცალკეებით განვიხილავთ, არც ისე მაღალია. რაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონე კიდევ უფრო მაღალია. მაგრამ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწორად აღსაქმებლად უმუშევრობის დონესთან ერთად აუცილებელია შეფასდეს დასაქმების სისრულე და მისი ეფექტიანობა.

მასობრივი ხასიათი აქვს არასრულ დასაქმებას. თვითდასაქმებულთა თითქმის მეოთხედი დაკვირვების სამთვიან შუალედში კვირათა ნახევარზე ნაკლებში მუშაობდა. გარდა ამისა, ნამუშევარ კვირაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა თვითდასაქმებულთა კიდევ მესამედისათვის ნორმალურ სამუშაო დღეზე ნაკლები იყო. მთლიანად ნამუშევარი დროითი ფონდი თვითდასაქმებულთათვის ნორმალური სამუშაო დროის დაახლოებით 65 პროცენტია. დაქირავებული შრომის ინტენსივობა შედარებით მაღალია, მაგრამ მაინც 80 პროცენტს არ აჭარბებს. ამრიგად, დასაქმების საკმაოდ მაღალი საშუალო დონის მიუხედავად, მისი ინტენსივობა, არასრულია. მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ოთხი მეხუთედის წყარო დასაქმებაა, ხოლო მეხუთედისა ტრანსფერტების წილად მოდის. გარდა ამისა, მოსახლეობა ხშირად იყენებს ფულადი სახსრების დამატებით წყაროდ ქონების გაყიდვას, ფულის სესხებას ან დანახარჯებს. ხოლო სოფლის მოსახლეობა მოწვეული მოსავლის ნაწილს თვითონვე იტოვებს საკუთარი მოხმარებისათვის. ყველა ამ რესურსის გათვალისწინებით 1997 წელს შემოსავლების დონე ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ 147,5 ლარი იყო. კრებულში განხილულია სიღარიბის სამი ზღვარი: 1. საარსებო მინიმუმი (მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებ-

და); 2. მედიანური მოხმარების (მედიანური მოხმარება - მოხმარების ისეთი დონე, რომელიც ამ მაჩვენებლის მიხედვით მოსახლეობას ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. ნახევარს მასზე მეტი მოხმარება აქვს, მეორე ნახევარს კი მასზე ნაკლები) 60 პროცენტი; 3. მედიანური მოხმარების 40 პროცენტი. სიღარიბის ამ ზღვრებიდან პირველს ეწოდება სიღარიბის ზღვარი, ხოლო დანარჩენ ორს - სიღარიბის ფარდობითი ზღვრები. პირველ ზღვარს მიღმა მყოფთ შეიძლება უწოდოთ ღარიბები, მეორე ზღვარს მიღმა მყოფთ შესაბამისად - ძალიან ღარიბები, ხოლო მესამის მიღმა მყოფთ - უკიდურესად ღარიბები. ამ ზღვრების მიმართ სიღარიბე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში სხვადასხვა დონით გვხვდება. განსხვავებულია სიღარიბე ტერიტორიულ, ცენტრში და სხვა ნიშნებით. საერთოდ, სიღარიბის შეფასებების მაჩვენებელია მოტანილი სისტემის მიხედვით შედარებით ანალიზი მომავალი წლების მონაცემებთან საშუალებას მოგვცემს შეფასდეს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მიზნობრიობა და ეფექტიანობა. ხელისუფლებას კი შესაძლებლობა ექნება, მასზე დაყრდნობით, მოახდინოს ამ პოლიტიკის კორექტირება.





სააღწერო დოკუმენტაცია

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, გარკვეული პერიოდული ვიწრობა მოსახლეობის აღწერები. აღწერის შედეგად ვიღებთ ზუსტ და სრულ ინფორმაციას მოსახლეობის სქესის, ასაკის, განათლების, საქონლის მფლობელობის, სარწმუნოების, ეროვნული კუთვნილების, ენის, არსებობის საშუალებათა წყაროების, ეკონომიკური აქტივობის, საქმიანობის ხასიათის და სხვათა შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის დოკუმენტაცია, ისე როგორც აღწერის მთელი მეთოდოლოგიური ბაზა, ემყარება გაეროს, ევროსტატის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ქვეყნების რეკომენდაციებს, აგრეთვე, წინა აღწერებით მიღებულ გამოცდილებას და ყოველმხრივ ითვალისწინებს ქვეყნის ეროვნულ ტრადიციებსა და სწავლებლებს.


აღწერა ეწყობა სპეციალურად მომზადებული აღწერის მიერ. მოქალაქეთა გამოკითხვის გზით მიღებული მონაცემები შეაქვთ შესაბამის სააღწერო ფორმებში პასუხების სისწორის დამადასტურებელი საბუთების მოთხოვნის გარეშე. მოქალაქეთაგან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მხოლოდ კრებისათვის მონაცემების მისაღებად გამოიყენება.

მოსახლეობის აღწერისათვის შემუშავებულია 5 სააღწერო ფორმა. ფორმები: 1 („საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო პირობები“) და 2 („სააღწერო ფურცელი“) მიზნად ისახავს ინფორმაციის მოპოვებას ქვეყნის მოსახლეობის შესახებ, რომლის მანქანური დამუშავების შედეგად მიიღება ნაერთი მონაცემები მოსახლეობის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ფორმები: 3 („საკონტროლო სააღწერო ფურცელი“), 4 („საკონტროლო სათვალავი“), 5 („ცნობა აღწერის გაეგნის შესახებ“) საკონტროლო და მანქანურ დამუშავებას არ ექვემდებარება.

1. მოსახლეობის აღწერის მიზანი და მისი რიცხობრივი პროგნოზირება.

ფორმა 1 შედგება ორი განყოფილებისაგან: I. საცხოვრისში მცხოვრებთა სია; II. მოსახლეობის საბინაო პირობები. ფორმა 1-ის I განყოფილების კითხვებზე მიღებული პასუხების ფორმა 2-

ის კითხვებზე მიღებულ პასუხებთან შეჯერებით დგინდება ქვეყნის სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა, მისი განსახლება ქვეყნის ტერიტორიულ ტერიტორიაში, აგრეთვე, მოსახლეობის შემადგენლობა სქესისა და ასაკის მიხედვით. ფორმა 1-ში შეტანილი შინამეურნეობების მისამართების



და მოსახლეობის კატეგორიის განმარტებული პასუხების (დროებით არყოფნა, დროებით ცხოვრება) შეჯერება ფორმა 2-ის კითხვებთან სქესისა და დაბადების თარიღის მიხედვით, ხოლო იმავე მონაცემებისა - ფორმა 2-ის მე-10 კითხვასთან („შვილიანობა“), საშუალებას მოგვცემს, დავახასიათოთ მოსახლეობის აღწერის მიზნად ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, ამასთან, მოვიპოვოთ საჭირო ცნობები მოსახლეობის პროგნოზული მანქანების გაანგარიშებისათვის.

რაც შეეხება ფორმა 1-ის მეორე განყოფილებას, იგი შეიცავს ისეთ კითხვებს, როგორცაა: „საცხოვრისის ტიპი“ (1b), „საცხოვრისის საკუთრების ფორმა“ (2b), „დაკავებული საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა“ (3b), „ფართობის სიდიდე“ (კვმ, 4b). ამ კითხვებზე მიღებული პასუხები შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა მონაცემთან შეჯერებით, გაეანალიზოთ მოსახლეობის საბინაო პირობები და საცხოვრებელი მათი უზრუნველყოფის ხარისხი. მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს ერთდღერო სტატისტიკურ წყაროს საბინაო პოლიტიკისა და საბინაო მშენებლობის პროგრამის შემუშავებისათვის.

2. მოსახლეობის მიგრაცია.

პასუხები ფორმა 2-ის მე-4 კითხვაზე („მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს დაბადებიდან“) საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების მასშტა-

თიმიურაზ ბერიძე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ინფორმაციის ამოსავალი ბაზა

ბები და ნაკადები ეკონომიკური რაიონების, ქალაქებისა და სოფლების, აგრეთვე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ - სახელმწიფოების მიხედვით და მივიღოთ მონაცემები მიგრანტების დემოგრაფიული, ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ამასთან, დავახსოვოთ ინფორმაცია იმ იძულებით ადგილმაცვალთა შესახებ, რომლებიც ეროვნებათაშორის ურთიერთობების გამწვავებისა და შეიარაღებული კონფლიქტის გამო იძულებულნი გახდნენ, შეეცვალებათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

3. მოსახლეობის ეროვნულ-ლინგვისტური კუთვნილება.

ფორმა 2-ის მე-5 („მშობლიური ენა“), მე-6 („მოქალაქეობა“), მე-7 („ეროვნება“) და მე-8 („სარწმუნოება“) კითხვებზე მიღებული პასუხების ამავე ფორმის სხვა კითხვებით მიღებულ პასუხებთან შეჯერება საშუალებას იძლევა, მოვიპოვოთ დამატებითი მონაცემები ქართველი ერის, აგრეთვე, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებების (ეთნიკური ჯგუფების) წარმომადგენელთა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ამასთან, დავადგინოთ სახელმწიფო და საერთაშორისო ურთიერთობის ენების გავრცელების ხარისხი.

წინა აღწერისაგან განსხვავებით, მოქალაქეობის შესახებ კითხვის შეტანა სააღწერო ფურცელში განპირობებულია საქართველოს მოქალაქეთა, აგრეთვე, ქვეყანაში მუდმივად ან დროებით მცხოვრებ სხვა ქვეყნების მოქალაქეობის და მოქალაქეობის არქონე პირთა შესახებ მონაცემების მიღების აუცილებლობით.

4. შინამეურნეობები და ოჯახები.

ფორმა 2-ის პირველ („ნათესაური დამოკიდებულება შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ“) და მე-9 („ქორწინება“) კითხვებზე მიღებული პასუხების ამავე ფორმის სხვა კითხვებთან, აგრეთვე, ფორმა 1-ის კითხვებზე მიღებულ პასუხებთან შეჯერებით მიიღება მონაცემები შინამეურნეობებისა და ოჯახების, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის და სამომხმარებლო ერთეულის შესახებ, რაც აუცილებელია საოჯახო პოლიტიკის შემუშავებისათვის.

5. განათლება.

ფორმა 2-ის მე-11 („სწავლობს თუ არა ამჟამად“) და მე-12 („განათლების დონე“) კითხვებსა და მათ ქვეკითხვებზე მიღებული პასუხები ერთდღერთი საინფორმაციო წყაროა მოსახლეობის წიგნიერებისა და განათლების დონის შესახებ მონაცემთა მისაღებად. აღწერით მოპოვებული მასალების განზოგადება საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ მოსახლეობის ცალკეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების საერთო და პროფესიული განათლების სფეროში მომხდარი ცვლილებები, გამოვადგინოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სირ-

თულებით გამოწვეული ნეგატიური პროცესების (სკოლის ასაკში უწიგნურთა რიცხვის ზრდა, მოსწავლეთა რიცხვის შემცირება და სხვ.) და დავახსოვოთ ამ მიმართულებით მუშაობის კონკრეტული ღონისძიებანი.

6. მოსახლეობის დასაქმება.

ფორმა 2-ის მე-13 („არსებობის საშუალებათა წყაროები“), მე-14 („ძირითადი საქმიანობის ან შესრულებული სამუშაოს სრული დასახელება“) და მე-15 („15 წლისა და უფროსი ასაკის დაუსაქმებელ პირთათვის“) კითხვებზე მიღებული პასუხების განზოგადება საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებით საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ, მოვიპოვოთ მონაცემები მესაკუთრეთა (მათ შორის დაქირავებული მუშაკების გამოყენებით მომუშავეების), დაქირავებული მომუშავეების, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში და პირად დახმარებულ მეურნეობაში დასაქმებული პირების, ინდივიდუალური მეწარმეების (შემოქმედებითი პროფესიის პირთა ჩათვლით), მოწაფეების, პენსიონერების, კმაყოფაზე მყოფი პირებისა და მოსახლეობის სხვა კატეგორიის, აგრეთვე, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის, მომუშავე არასრულწლოვანებისა და შრომისუნარიანი ასაკზე ზევით დასაქმებულთა რიცხოვნობის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ ქვეყნის შრომითი რესურსები და გავანგარიშოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი მანქანებელი, როგორცაა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მონაცემები დასაქმების ძირითად სახეობათა მიხედვით მოსახლეობის განაწილების შესახებ წარმოადგენს ამოსავალ ინფორმაციას როგორც კვალიფიციური კადრების მომზადების პროფილისა და მასშტაბების, ისე ქვეყნის სოციალური პროგრესის მიმართულებათა განსაზღვრისათვის.

სქესისა და ასაკის აღრიცხვა მოსახლეობის აღწერებში

სქესი და ასაკი მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვის პროგრამათა სავალდებულო ნიშანია. მოსახლეობის აღწერებში მათი ასახვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოდან - 1790 წელს აშშ-ში ჩატარებული პირველი ცენზიდან (ასე უწოდებენ აშშ-ში მოსახლეობის აღწერას) დაიწყო. შემდგომში ეს ნიშნები ჩაერთო 1853 წელს ბრიუსელში სტატისტიკოსთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე შემუშავებულ მოსახლეობის აღწერათა სარეკომენდაციო პროგრამის 15 სავალდებულო ნიშანთან შორისაც. ამიტომაც ყველა ქვეყნის შემდგომ აღწერებში ეს ნიშნები კვლავ პოპულარული ასახვას. რაც შეეხება მოსახლეობის სქესის მიხედვით აღწერას, ეს საკითხი ყოველთვის და ყველგან მარტივად და ცალსახად წყდებოდა, რის გამოც იგი არავითარ სპეციალურ ახსნა-განმარტებას არც კი საჭიროებს. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე ასაკის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ასაკის

განმარტებული კითხვები აღწერებში სხვადასხვაგვარად იხმებოდა: ან მიეთითებოდა შესრულებულ წელთა რიცხვი ან დაბადების თარიღი. მაგალითად, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, იტალიის, აშშ-ის, საფრანგეთის და იაპონიის მოსახლეობათა აღწერებში ფიგურირებდა კითხვა დაბადების თარიღის შესახებ, ხოლო ინგლისის, ინდოეთის, კანადისა და რუმინეთის აღწერებში - შესრულებულ წელთა რიცხვის შესახებ. ასაკის შესახებ კითხვის ფორმულირებისას საჭიროა გაითვალისწინოთ პასუხების გამოყენებით პრაქტიკული სარგებლიანობა დემოგრაფიული ანალიზის პროცესში. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღწერის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების საიმედოობა. ამ უკანასკნელზე კი სხვა მიზეზებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს თავად კითხვის ფორმულირების მეთოდოლოგიური სრულყოფილება. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული

აღწერების პროგრამებში მოცემული ასაკის შესახებ კითხვის ფორმულირებათა ევოლუციისა და მისგან გამომდინარე ე.წ. ასაკობრივი აკუმულაციის (აკუმულაცია ლათინ. - შეგროვება, დაგროვება) საკითხი. 1970 წლამდე ჩატარებულ აღწერებში (1897, 1926, 1939, 1959 წწ.), კითხვა ასაკის შესახებ დასმული იყო როგორც შესრულებულ წელთა რიცხვის, ხოლო 1 წლამდე ბავშვებისათვის - თვეების მითითების ფორმით. რევოლუციამდელ და პირველ საბჭოთა აღწერების დროს, როცა მოსახლეობაში ჯერ კიდევ დიდი იყო წერა-კითხვის უზუსტი პასუხების მიღება დაბადების წლის, თვისა და რიცხვის შესახებ. ამიტომაც მიზანშეწონილად იყო მიჩნეული ასაკის - როგორც შესრულებულ წელთა (ხოლო 1 წლამდე ბავშვებისათვის თვეების) რიცხვის მიხედვით განსაზღვრა. ცნობილია, რომ ასაკის სწორედ ამგვარი განსაზღვრა იწვევს ასაკობრივ აკუმულაციას ანუ როგორც ზოგჯერ უწოდებენ ასაკო-



წლამდე ბავშვებისათვის კი თვეების რიცხვი) დაბადების თვე და წელი“, ე.ი. აქ არ იყო მითითებული თუ თვის რომელ რიცხვში იყო დაბადებული გამოსაკითხი პირი, რაც გარკვეულ უზუსტობას იწვევდა თუნდაც აღწერის ჩატარების თვეში დაბადებულთა აღრიცხვის სიზუსტის თვალსაზრისით. (გაგრძელება მე-4 გვ.)

სააღწერო დოკუმენტაცია

# სქესისა და ასაკის აღრიცხვა მოსახლეობის აღწერებში

(მე-3 გვერდიდან)

თუკი აღწერის კრიტიკულ მომენტად დააბეჭდები და ამავ თვეში, მაგრამ კრიტიკული მომენტის შემდეგ დააბეჭდებიც ერთი და იგივე ასაკს დაასახელებდა, ეს, რა თქმა უნდა, მეთოდოლოგიური ხასიათის უზუსტობის შედეგი იქნებოდა. ხოლო თუ ვივარაუდებთ, რომ მთელი მოსახლეობის დაახლოებით 1/12 იყო დაბეჭდილი იანვრის (ანუ აღწერის ჩატარების თვეში), მაშინ მხოლოდ ამგვარი მეთოდოლოგიური უზუსტობა სულ ცოტა დაახლოებით 10%-ით მინც გაზრდიდა აკუმულაციის დონეს.

როგორც ჩანს, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნაკლი გათვალისწინებულ იქნა 1979 წლის აღწერის ჩატარებისას და აღწერის თვეში დაბეჭდულები გაიმიჯნენ კრიტიკულ მომენტთან მიმართებაში. უფრო უზუსტად, ასაკთან დაკავშირებული კითხვა 1979 წელს ასე იყო ჩამოყალიბებული: დაბადების წელი (დაიბადა 17 იანვრამდე თუ 17 იანვარს ან უფრო გვიან), შესრულებულ წელთა რიცხვი. როგორც ვხედავთ, აქ ფორმულირებიდან სულ ამოვარდა დაბადების თვე, ხოლო დაბადების თვის რიცხვი კვლავ იგნორირებული იყო.

1970 და 1979 წლის აღწერებში ასაკის განმსაზღვრელი კითხვების ფორმულირებათა ასეთი განსხვავებულობა გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო გაზარებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის უზუსტად აღრიცხვის პრაქტიკული აუცილებლობის საკითხი.

მოსახლეობის აღწერებში ასაკის განმსაზღვრელი კითხვების ფორმულირებათა ევოლუციის გზაზე მნიშვნელოვანი იყო 1989 წლის აღწერა, როდესაც პირველად იქნა დასმული კითხვა დაბადების წლის, თვისა და რიცხვის ჩვენებასთან ერთად შესრულებული წლების მითითებით. ასეთნაირად დასმულ კითხვაზე მიღებული პასუხები უზრუნველყოფდა ასაკთა მაქსიმალური სიზუსტით აღრიცხვას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის ამგვარი ფორმულირება საბჭოთა აღწერებისათვის წარმოადგენდა სიახლეს, თორემ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობათა აღწერებში იგი უკვე დიდი ხანია ტრადიციულად იყო ქცეული. ამგვარი მდგომარეობის ახსნა იმითაც შეიძლება, რომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემები, ისევე როგორც დემოგრაფიული სტატისტიკის ბევრი სხვა მონაცემი (მათ შორის აღწერათა შედეგებიც კი) გარდაქმნილი იყო და თავისუფალ პუბლიკაციას არ ექვემდებარებოდა. ისინი ქვეყნებში მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობისათვის განკუთვნილ პუბლიკაციებში, რაც ართულებდა მეცნიერ-მკვლევარებისა და პრაქტიკული მუშაკების მიერ მათ გამოყენებას. ეს კი საბოლოო ჯამში ნეგატიურად მოქმედებდა როგორც საკითხის მეცნიერული შესწავლის დონეზე, ასევე ყოველდღიურ საქმიანობაში მათ პრაქტიკულ გამოყენებაზეც. ამიტომაც, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ უამრავ დემოგრაფიულ პრობლემათა შორის ყველაზე ნაკლებად

სწორედ ასაკობრივი სტრუქტურის საკითხია შესწავლილი, რაც, თავის მხრივ, ამ პრობლემათა ახსნის გასაღებიცაა, რამეთუ ყველა ისინი განიცდიან ასაკობრივი სტრუქტურის ვაგენას.

თუ რა ვაგენა ჰქონდა ასაკის დამდგენი კითხვების დასმისას მეთოდოლოგიურად დაუხვეწავ ფორმულირებებს, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ასაკობრივი აკუმულაციის დონის მაჩვენებელთა დინამიკაც. საყოველთაო აღწერების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი აკუმულაციის კოეფიციენტების (სპეციალური სტატისტიკური მაჩვენებელი, ანუ ე.წ. უიპლის ინდექსი, რომელიც იანვარიდან 23-დან 62 წლის ჩათვლით ასაკობრივ ინტერვალში 5-ის ჯერად ასაკებში (25, 30, 35, 40, 45, 50, 55, 60) მყოფთა რაოდენობის შეფარდებით მთელ ამ ასაკობრივ ჯგუფში მყოფი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1/5-თან და გამოისახება პროცენტებში) დინამიკას გვიხასიათებს ქვემოთ მოტანილი ჩვენს მიერ გაანგარიშებული ცხრილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 1897-დან 1989 წლამდე პერიოდში ასაკობრივი აკუმულაციის კოეფიციენტები მხოლოდ კლების ტენდენციით გამოირჩეოდნენ როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობათა მიხედვითაც. (რაც უფრო ახლოსა ამ კოეფიციენტის სიდიდე 100-თან, მით უფრო ნაკლებია ასაკობრივი აკუმულაციის დონე ანუ უფრო უზუსტად ხდება ასაკთა აღრიცხვა მოსახლეობის აღწერების დროს). თავისთავად ასეთი ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ აღწერიდან აღწერამდე განუხრელად უზრუნველდებოდა ასაკობრივი სტრუქტურის აღრიცხვა, რაც, ერთის მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, აღწერის პროგრამულ-მეთოდოლოგიური სრულყოფის შედეგი იყო, ხოლო, მეორეს მხრივ, ეს იმაზეც მიუთითებს, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონეც.

ასაკობრივი აკუმულაციის კოეფიციენტების დინამიკა საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით (%-ით)

წლები	საქართველოში სულ			ქალაქის მოსახლეობა		
	მათ შორის გოგო	ქალი	ქალი	მათ შორის გოგო	ქალი	ქალი
1897	277,1	146,6	314,7	199,5	181,1	231,3
1926	238,0	204,3	272,1	173,0	154,6	192,3
1939	143,9	126,4	160,8	125,3	116,4	133,7
1959	131,6	121,3	139,3	121,5	115,9	125,8
1970	110,1	106,8	112,8	108,8	106,5	110,6
1979	106,5	104,2	108,4	108,4	106,5	110,0
1989	99,9	98,9	101,0	100,3	99,5	101,0

რაც შეეხება ასაკობრივი აკუმულაციის კოეფიციენტთა სქესის მიხედვით დიფერენციაციას, აღსანიშნავია, რომ აქაც შენარჩუნებულია ზოგადი ტენდენცია, კერძოდ, ისინი უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე ვალებში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქალებს უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება ასაკის დამრეგავლებისადმი (ე.წ. „ქალთა კეკლაცობა“), ვიდრე ვალებს. ამავე ცხრილის მონაცემები იმაზეც მეტყველებენ, რომ ქალაქად სოფლიდან შედარებით უფრო ნაკლები იყო აკუმულაციის კოეფიციენტის სიდიდე თითქმის მთელი სახალიზო პერიოდის განმავლობაში, გარდა ბოლო ორი აღწერისა, სადაც საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება. ეს მოვლენა შედარებით ახალია და ამიტომ ძნელია

რაიმე დასკვნების გაკეთება, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ 1979 და 1989 წლებში სოფლის მოსახლეობაში როგორც ვალებში ასევე ქალებში, ასაკობრივი აკუმულაციის ნაკლები კოეფიციენტი, ვიდრე ქალაქად – საყურადღებოა და მომდევნო აღწერის მონაცემების გათვალისწინებით საჭიროა გაირკვეს, იგი შემთხვევითი მოვლენაა თუ რაღაც მიზეზების გამო კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

ამრიგად, ასაკობრივი აკუმულაციის კოეფიციენტების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო აღწერების პროგრამებში ასაკის შესახებ შეკითხვის მეთოდოლოგიურად სრულყოფილი სახით ფორმულირება, რამაც 1989 წლის აღწერის მონაცემებში პრაქტიკულად გამოირიცხა ასაკობრივი აკუმულაციის ფაქტები. ამასთანავე, 1989 წლის აღწერის მასალებში, საერთოდ არ ყოფილა გამოყოფილი ცალკე გრაფა „ასაკი არაა ნაჩვენებ“ (როგორც ეს იყო წინა აღწერებში), რაც სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფილების ერთ-ერთი მანათლებელიცაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ 1999 წლის აღწერის პროგრამაში საკვებით სწორადაა ფორმულირებული ასაკის უზუსტად დამდგენი კითხვა – „დაბადების თარიღი“, რომელიც მოითხოვს, როგორც დაბადების წლის, თვის და რიცხვის, ასევე შესრულებულ წელთა რიცხვის მითითებას. ეს კი იმის გარანტიაა, რომ გამოირიცხოს მეთოდოლოგიური უზუსტობის მიზეზები აღწერის შედეგებში მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ მონაცემების დაბალი ხარისხი. თუმცა, მარტო ეს არაა საკმარისი და საჭიროა, რომ აღწერის ჩატარების შემდგომ ეტაპებზეც, უშუალოდ აღწერისას და მასალების დამუშავების დროსაც დიდი ყურადღება მიექცეს ამ სწორად დასმულ შეკითხვაზე უზუსტი პასუხების მიღების საკითხს. ეს კი უშუალოდ აღწერებზე და მათი

მომზადების დონეზე დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, საბოლოოდ განსაზღვრავს აღწერის წარმატებით ჩატარებას.

აქვე ისიც სათქმელია, რომ აღწერის მასალების დამუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნას ასაკობრივი სტრუქტურაში ისეთი ჯგუფების გამოყოფა, რომელიც შესაძარსი იქნება მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან.

**ანზორ სანხაძე,**  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

დასაქმება



## რას უპიანებენ ციფრები?

სხმა სტატისტიკურ და კვირველებთან ერთად მოსახლეობიდან ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი საშუალებანაა მოსახლეობის აღწერა, რომელიც 10 წელიწადში ერთხელ იმართება. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ბოლო აღწერა მოხდა 1989 წელს. აღწერის მასალების მანქანურად დამუშავებამ საშუალება მოგვცა საზოგადოებისათვის მიგვეჩვენებინა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მაგალითად:

1989 წლისათვის ქვეყანაში ცხოვრობდა 5400,8 ათასი მუდმივი მოსახლე. აქედან, 2634,3 ათასი კაცი, ანუ მოსახლეობის 48,8 პროცენტი დასაქმებული იყო, მათ შორის სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში საქმიანობდა 2237,4 ათასი კაცი (84,9%); კოლმეურნეობებში – 334,3 ათასი (13,1%); კოოპერატივებში – 33,3 ათასი (1,3%); ცალკეულ მოქალაქეებთან საქმიანობდა 2,4 ათასი (0,1%); ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული იყო მხოლოდ 16,0 ათასი კაცი (0,6%).

ეკონომიკაში. შეიცვალა ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურა, კერძოდ, გააქტიურდა მუშა ძალის გადასვლა სახელმწიფო სექტორიდან კოოპერატიულში და სხვა კერძო ეკონომიკურ სექტორებში, რასაც თან ახლდა მისი აბსოლუტური რიცხოვნობის შემცირება. დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება გამოიწვია იმან, რომ ქვეყანაში შემცირდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა, მეორეს მხრივ, გაიზარდა მუშა ძალის საზღვარგარეთ გასვლა სამუშაოს ძებნის მიზნით. დასაქმებულთა შემცირებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა წარმოქმნილმა ენერგეტიკულმა კრიზისმა, ნედლეულის და მასალების უქონლობამ, რომლის გამო ბევრმა საწარმომ შეაჩერა მუშაობა, ხოლო მისი მუშაკები იძულებით გაუშვეს შევებულეებში. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა ფარული უმუშევრობა. მაგრამ განდა „ფარულად დასაქმებული“ მოსახლეობაც. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის

მოსახლეობის 1989 წლის აღწერისას მოსაქმეობის ტრადიციულ სახეობებთან ერთად (საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობაში) მხედველობაში იყო მიღებული მოსაქმეობის ახალი ფორმები: კოოპერატივში მუშაობა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. იმ დროისათვის ეს ახალი ფორმები არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროდ დაასახელა მთელი დასაქმებული მოსახლეობიდან 49 ათასმა კაცმა (შემთავსებლების გარეშე) ანუ დასაქმებული მოსახლეობის 2 პროცენტმა. არსებობის საშუალებათა წყაროების ახალი ფორმიდან 33 ათასი კაცი დასაქმებული იყო კოოპერატივში და 16 ათასი ეწეოდა ინდივიდუალურ საქმიანობას.

აღწერიდან 1 წლის შემდეგ, 1990 წლის 1 იანვრისათვის, კოოპერატივში დასაქმებულთა რიცხვმა 92,8 ათას კაცს მიაღწია (შემთავსებლების გარეშე).

ეკონომიკური აქტივობის ღრმა ანალიზი შესაძლებელი გახდება მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მოსახლეობის 1999 წლის აღწერით მივიღებთ ინფორმაციას, როგორც დასაქმებულ მოსახლეობაზე, ისევე უმუშევრობის შესახებ. შევისწავლით მოსახლეობის არსებობის საშუალებათა წყაროებს. ვნახოთ, ამ მხრივ რას გვიჩვენებს მომავალი აღწერა.

**ნათია ძველაძე,**  
სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ნათია ძველაძე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

დემოგრაფია

მოსახლეობის კვლავწარმოება, მიგრაციულ პროცესებთან ერთად, განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის თავისებურებებს, მის სამომავლო ცვლილებებს და ევოლუციას. სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდებისა და შესაბამისი ინსტრუმენტარის მეშვეობით შეისწავლება მოსახლეობის რიცხოვნობის და მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილებები, აგრეთვე, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა.

დემოგრაფიული პროცესები უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან, ადამიანის - როგორც მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მწარმოებლისა და მომხმარებლის - საქმიანობასთან, აგრეთვე, განპირობებულია შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის სისტემით.

80-იანი წლების ეკონომიკისა

დემოგრაფიული განვითარების მიუხედავად, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოვლინდა დემოგრაფიულ სტატისტიკაში შექმნილი რთული მდგომარეობით, რაც, ერთის მხრივ, განპირობებულია პირველადი აღრიცხვის არ-ასრული მოცუვით (გარკვეული მიხედვების გამო), ამდენად გაძნელებულია დემოგრაფიული მდგომარეობის რეალური ასახვა. ამის მიუხედავად რეგისტრირებული მოვლენებზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მაჩვენებლები:

დაბაობადობის დემოგრაფიული ვითარება

აბასთან, შემცირდა ქორწინება, ახალი ოჯახის შექმნა. ეს ნათლად ჩანს ბოლო სამი აღწერის მონაცემებიდან. შეიმჩნევა რთული ოჯახებიდან ახალი ოჯახების გამოყოფის მნიშვნელოვანი შემცირება ანუ

კით, რაც უფრო მცირე ზომისაა ოჯახი (შშობლები და ერთი ბავშვი), მით უფრო მაღალია ანალოგიური მაჩვენებელი.

ამრიგად, დღეს შექმნილ რთულ სიტუაციაში, ბავშვების რიცხვის შეზღუდვა შედარებით უკუთესი მატერი-ალური მდგომარეობის მიღწევის საშუალებას იძლევა, აქედან ნათლად ჩანს, თუ რა ურთიერთკავშირია ცხოვრებისა და შობადობის დონის შორის. საქართველოში შექმნილია უსაქციფიური დემოგრაფიული სიტუაცია, ეკრძოდ - ქვეყანა

წლია უსაქციფიური დემოგრაფიული სიტუაცია, ეკრძოდ - ქვეყანა

სხვაგვარად, მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება ემიგრაციის გამო, რაც საერთოდ დამახასიათებელია მაღალი დემოგრაფიული ზრდისა და დაბალი ცხოვრების დონის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის. 1990-94 წლებში წასულთა რიცხოვნობა წლიურად საშუალოდ 50,0 ათასზე მეტი იყო, რაც თანდათან შემცირდა. 1997 წელს მიგრაციულმა სადღომ 478 კაცი შეადგინა. ეს არის დასტური იმისა, რომ მკვეთრად შემცირდა ემიგრაცია, რაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არასრული აღრიცხვის შედეგია, მოსახლეობა არაღებულად გადის. შექმნილი პარადოქსული დემოგრაფიულ-ეკონომიკური მდგომარეობის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებას, აუცილებლად მოჰყვება მოსახლეობის, კრის პერმანენტული დემოპულაცია, დემოგრაფიული დეგრადაციის გაღრმავება და მოსახლეობის რიცხოვნობის შემდგომი მზარდი შემცირება. ამ პროცესის შეწყვეტას და შემდგომში მის შეჩერებას დასტირდება დრო და საკმაო მატერიალური სახსრები, თუ დროულად არ იქნა სათანადო ღონისძიებები მიღებული და გატარებული.

საქართველოში შექმნილია უსაქციფიური დემოგრაფიული სიტუაცია, ეკრძოდ - ქვეყანა

წლია უსაქციფიური დემოგრაფიული სიტუაცია, ეკრძოდ - ქვეყანა

Table with 4 columns: Year, Birth rate, Death rate, Fertility rate. Data for 1980, 1985, 1990, 1995, 1997.

Table with 7 columns: Year, Birth rate, Death rate, Fertility rate, etc. Data for 1980, 1985, 1990, 1995, 1997.

და სოციალური ცხოვრების რეგრესია და შექმნილია დემოგრაფიული ვაკუუმი და დემოგრაფიული სიტუაციის გამწვანება განაპირობდა და 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლისა და მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შედეგად, საქართველო აღმოჩნდა რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში, სუვერენული ქვეყნისათვის დამახასიათებელი

შეიმჩნევა შობადობის შემდგომი შემცირება, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ოჯახებში ბავშვების შემდგომი რიცხვის შეზღუდვით:

Table with 6 columns: Year, Birth rate, etc. Data for 1970, 1979, 1989.

რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი (2-3 ბავშვით), მით უფრო დაბალია ერთ სულზე საშუალო ყოველთვიური ხარჯები სურსათზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და პირი-

Table with 6 columns: Year, Birth rate, etc. Data for 1970, 1979, 1989.

დემოგრაფიული პროცესების ძირითადი მაჩვენებლებით და ცხოვრების დონით განეკუთვნება განვითარებადი ქვეყნებს, ხოლო შობადობის დონით (შეკვეცილი კვლავწარმოების მიხედვით) - განვითარებულ ქვეყნებს.

გარემოგარემოს მხრივაც არასახარბილო მდგომარეობაა, ვინაიდან საქართველოში დაბალი შობადობისა და მოსახლეობის შემცირებული კვლავწარმოების პირობებში, განვითარებული ქვეყნებისაგან გან-

ალექსანდრე ვადაშვილი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს უფროსი;

მანანა სხირტლაძე, სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მეცნიერება

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ფონზე მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარებაში. შესამჩნევად შეიცვალა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული ქცევა და მეტ-ნაკლებად დაირღვა მისი კანონზომიერი პროცესის ევოლუციური ფორმა.

თაობათა ცვლის რეჟიმის (შობადობა, მოკვდაობა) კანონზომიერებათა დარღვევამ განაპირობა ქვეყნის დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე, რაც დემოპულაციის სამშრობას ქმნის. გაძლიერდა შიგა და გარე მიგრაციული პროცესები. გარკვეულწილად ხდება ოჯახის დეგრადაცია. შექმნა მისი ნუკლეარისა და მრავალგვან მრავალთაობანი რთული ოჯახები, სადაც სოციალურ-ეკონომიკური სიღრმეების შედეგად განხორციელდა შიგა-ოჯახური კონფლიქტები. გაღრმავდა „კონფლიქტი“ ოჯახსა და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო ვეღარ ასრულებს თავის „ვალდებულებებს“ ოჯახის წინაშე. ამის შედეგად ოჯახი უკვე დაბალკონსერვტიუნარიან სოციალურ-დემოგრაფიულ უჯრედს გველენება და, თავის მხრივ, ოჯახშიც დაირღვა სახელმწიფოსადმი „ვალდებულებების“ შესრულების პასუხისმგებლობა. იგი სრულად ვეღარ ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: აღწარმოების, ანუ თაობათა განახლების; ახალი თაობის აღზრდისა და სოციალიზაციის; აქტიურ როლს ერთობლივი პრობლემის წარმოებაში. უაღრესად რთულ პირობებში აღ-

გდგრაფი და უსაფრთხო განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა

მოხდა ქალი, როგორც ოჯახის დედაბურჯი, რომელზეც ბევრად დაამოკიდებული ქვეყნის მომავალი. თუ ადრე ქალი პრესტიჟისათვის მუშაობდა და სამუშაოს ადვილად უხამებდა თაობის აღზრდას, დღეს იგი ოჯახის გამოსაკვებად უკვე იძულებით შრომას ეწევა და რეალურად უჭირს ორი დიდი ფუნქციის - დედაობისა და საზოგადოებრივი (პროფესიული) საქმიანობის შესამება. დედათა და ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი საქართველოში სამჯერ და მეტად აჭარბებს საერთაშორისო სტანდარტებს. დეგრადაციას განიცდის ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა. ბავშვიან ოჯახებზე განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის არსებობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას საქართველოს მოსახლეობა ერთობ მოუზადებელი შეხვდა. საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ეკონომიკის გარდამავალი პერიოდი არ დაგეგმილია და ორგანიზებულად არ განხორციელებულა, ამიტომ მას არც წარმატებები მოჰყოლია. ეკონომიკური რეფორმების პროცესში რეორგანიზებული მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა თანამედროვე სახით აღმოჩნდა საბაზრო ურთიერთობების არაადეკვატური. ამ ფონზე ქვეყანაში შეიქმნა ერთობ კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება, რომლის უკან ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. საქართველოს დემოგრაფიული გან-

ვითარების ნეგატიურმა ტენდენციებმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია-პროგრამის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა, რომელიც პროფ. ლ. ჩიქავას ხელმძღვანელობით შეიქმნა კიდევ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილებაში. მოუხდავად იმისა, რომ პროგრამის ძირითადმა მიმართულებებმა, ცალკეულმა ღონისძიებებმა და რეკომენდაციებმა მაშინდელი მთავრობის მოწოდებდა დაიმსახურა, იგი მაინც პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაც ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა განაპირობეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: შემუშავებული დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია-პროგრამა გამოსადეგია თუ არა დღესათვის?

თავისთავად მას მრავალი დადებითი მხარე აქვს და მასში მოტანილი ბევრი წინადადება და გასატარებელი ღონისძიებათა პაკეტი არსებულ ვითარებაში კიდევ უფრო აქტუალური გახდა, მაგრამ იგი, ჩვენი აზრით, მაინც მნიშვნელოვან გადაამუშავებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ: ჯერ ერთი, კონცეფცია - პროგრამა ძირითადად იმ დროს გაბატონებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული; მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეალიზაცია დამოუკიდებელი საქართველოსთვისაც იყო ნაგარაუდები, ბევრი წინადადება და რეკომენდაცია მაინც

საბჭოურ ცენტრალიზებულ დაგეგმვას ემყარებოდა და ნაკლებად ითვალისწინებდა საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებს; მეორეც, ალბათ, ნაკლებ უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოს როლის წინ წამოწევა და ოჯახისადმი მაქსიმალური პატრონაჟი, რაც დღევანდელი მითხოვნებიდან გამომდინარე, უკვე მიუღებელია. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ახლად შემუშავებულ კონცეფციაში გარკვეული ტრანსფორმაციით მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული უნდა იყოს ადრინდელის ძირითადი მიმართულებები, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთოს საოჯახო პოლიტიკას.

ამ მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის „მდგრადი და უსაფრთხო, ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია-პროგრამის“ შემუშავებას. გაეროს რეკომენდაციით, „ოჯახის განმტკიცებისაკენ მიმართული პოლიტიკა და შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქცეს ეროვნულ მთავრობათა და მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად“.

აქედან გამომდინარე, კონცეფცია-პროგრამის გენერალური მიზანია სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებით სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედება, რაც უზრუნველყოფს 1998-2006 წწ. საბაზრო ურთიერთობების შესაბამისად მოსახლეობის (ოჯახის) აქტიურ სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცი-

ლებელია კონცეფციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი ემყარებოდეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, რომლის შემუშავება ერთობ საშურია. ჩვენი აზრით, როგორც ქვეყნის განვითარების ისტორია და დღევანდელი აქსესტურებს, არ შეიძლება პრობლემისადმი ერთმნიშვნელოვანი მოდერნისტული მიდგომა (შოკური თერაპია, მონეტარიზმი და ა.შ.). უკვე დროა სტრატეგიულ განვითარებაში ადგილი დაეთოს ქვეყნის ტრადიციულსაც, რომელსაც გარკვეული ტრანსფორმაციით ფართოდ იყენებს მრავალი ქვეყანა. მათი ზომიერი შესამებით ქვეყნის განვითარების მოდელად ნეოტრადიციონალიზმი წარმოგვიდგება. სწორედ ამიტომ კონცეფციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი „დემოგრაფიული გადასვლის“ თეორიასთან შესაბამისი „სარგებლიანობის“ თეორიაც უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ სწორედ მოდერნიზმმა განაპირობა ბოლო წლებში „ბავშვთა-ცენტრიზმი“, რის შედეგადაც ბავშვი ოჯახში აღმოჩნდა როგორც მომხმარებელი, რომლის კეთილდღეობისკენაც იყო მიმართული ოჯახის მთელი ბიუჯეტი (როგორც მატერიალური, ასევე სულიერი). საბაზრო ეკონომიკის ფონზე აქტიური საოჯახო პოლიტიკით შესაძლებელი ხდება ბავშვს ოჯახში შეხედონ არა მარტო როგორც მომხმარებელს, არამედ მწარმოებელსაც, განსაკუთრებით სოფლად. ეს კი, თავის მხრივ, შობადობის ზრდის სტიმული ხდება. თავისთავად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკას, თუ როგორი იქნება იგი და რა მიმართულებით წარიმართება.

(გაგრძელება მე-6 გვ.)

მაცნიერება

მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა

(მე-5 გვერდიდან)

ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის მდგრადობას ჩვენ განვიხილავთ როგორც მდგრადი ოჯახის საფუძველს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს თაობათა აღწარმოების ეროვნულ ინტერესს. ამიტომ ქვეყნის ხელისუფლებამ ამოავითვე უნდა განსაზღვროს და ოფიციალურად გამოაცხადოს თუ მოსახლეობის აღწარმოების როგორი რეჟიმი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული განვითარებისთვის ხელსაყრელი, შობადობის როგორი დონეა საჭირო, რათა ერი არ დაბერდეს და გადაშენების საფრთხე არ შეექმნას. უსაფრთხო განვითარების ორიენტირებად უნდა შემუშავდეს თაობათა განაზღვრის ინდიკატორულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც წარმოაჩენს სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის უსაფრთხოების დონეს.

სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის მიზანმიმართულებას და ეფექტიანობას ბევრად განაპირობებს მასში გათვალისწინებული ღონისძიებათა თვისებრიობა. საქმე ისაა, რომ თვით სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა მოსახლეობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და მის მიმართულებათა ზუსტად განსაზღვრას მოითხოვს.

ილება როგორც სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და წარმოადგენს პრინციპების, შეფასებებისა და ორგანიზაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი, სამეცნიერო, ინფორმაციული, პროპაგანდისტული და საკადრო ღონისძიებათა ერთიან სისტემას, მიმართულს ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მისი ხარისხის ამაღლებისაკენ.

კონცეფციის გენერალური მიზნიდან გამომდინარე, მისი გატარებისათვის უნდა გაითვალისწინოთ, რომ სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ობიექტი არის ოჯახი. სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა შესაძლებელია ეფექტურად ფუნქციონირებდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გვევლინება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ორგანულ ელემენტად და დაკავშირებულია ყველა მის მიმართულებასთან.

სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებათა პრიორიტეტულობა ოჯახის პრობლემათა სიმწვაისა და მნიშვნელობის საფუძველზე, მისი ძირითადი ფუნქციების რეალიზაციის გავლენის ხარისხით, სახელმწიფოს ფინანსური და რესურსული შესაძლებლობების გათვალისწინებით განისაზღვრება.

სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები შემდგენარად წარმოგვიდგება: 1. დემოკრატიულობა და ზოგადსაკაცობრიო ხასიათი; 2. პრიორიტეტულობა გენერალური მიზნიდან გამომდინარე; 3. ეტაპობრიობა; 4. რეგიონალიზმი; 5. სამართლებრივი უზრუნველყოფა და კონსტიტუციურობა; 6. არაპარტიულობა; 7. ობიექტურობა; 8. ოჯახებისა და მისი წევრების თანასწორობა სოციალური მდგომარეობის, ეროვნების, რელიგიური მრწამსის, სქესისა და ასაკის მიუხედავად; 9. ოჯახისა და სახელმწიფოს პარტნიორობა.

ბევრად უფრო ადვილად გადაიჭრება დასაქმების პრობლემა. ამას განაპირობებს სახელმწიფო და პრივატიზებულ საწარმოთა უმოქმედობა ან მათი მნიშვნელოვნად შეკვეცილი მუშაობის რეჟიმი. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ინვესტიციების წარმართვა ოჯახურ ბიზნესზე უფრო ეფექტიანია და ბევრად უფრო მცირე დრო სჭირდება, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე გაწეულ ინვესტიციათა უკუგებას.

კონცეფცია-პროგრამის ძირითად მიმართულებებად წარმოგვიდგება: ოჯახი და ბიზნესი (ოჯახის ეკონომიკა); ოჯახის განმტკიცება და შობადობის ობტინიზაცია; თვითშენახვის ობიექტი (ჯანმრთელობა); სანდაზმული ადამიანები; ახალგაზრდა ოჯახი; ქალთა დასაქმება და ახალი თაობის აღზრდა; მიგრაცია და განსახლება; ხიზნები და ლტოლვილები; მოსახლეობის (ოჯახის) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარება; ოჯახის მონიტორინგი (ინფორმაციული უზრუნველყოფა) და სხვა, რომლებიც კვლევის პროცესში დაზუსტდება.

კონცეფცია-პროგრამაში უნდა განისაზღვროს თითოეული ქვეპროგრამის მიზანი: მიმართულება, შესრულების ვადები (ეტაპი), პასუხისმგებელი შემსრულებელი, მისაღობი შედეგი, მიმართულების (ღონისძიებათა) ღირებულება.

ქვეპროგრამებში ცალკე უნდა გამოიყოს პრიორიტეტული სახელმწიფო პროგრამები (მაგ. „ახალგაზრდა ოჯახი და ბიზნესი“, „სოციალური ანომალიები“, „უმთავადად უზრუნველყოფა“ და სხვა) გარკვეულ ეტაპზე შესასრულებლად.

კონცეფცია-პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს ინსტიტუტურ რეფორმასაც. განსაკუთრებულ მომენტად ვთვლით საკანონმდებლო და სამთავრობო ხელისუფლების გვერდით, მეცნიერების, მსმელების, არასამთავრობო ორგანიზაციების და უცხოეთის პუმანიტარული ორგანიზაციების კოორდინირებული მოქმედების სრულყოფას. მნიშვნელოვან ყურადღებას ეუთობთ ოჯახის მონიტორინგის არასამთავრობო დონეზე წარმოებას, რაც საშუალებას მოგვცემს ინდიკატორულ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით ვაკონტროლოთ პროგრამების შესრულება და მოვასდინოთ მისი შემდგომი კორექტირება და კონკრეტიზაცია.

დემოგრაფიული პოლიტიკის სპეციფიკური თავისებურება საშუალებას იძლევა გამოიყოს იგი ერთიანი სოციალური პოლიტიკიდან, რამდენადაც მისი ძირითადი მიმართულება მოსახლეობის აღწარმოებაზე ზემოქმედებაა. ამიტომ ზუსტად უნდა განისაზღვროს მისი კონკრეტული მიზნობრივი ორიენტირები, გატარების ვადები. ასეთ ორიენტირებად გვევლინება მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის ტემპი, შობადობისა და მოკვდაობის დონე, დაბერების მაჩვენებელი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და სხვა. სწორედ ამ მაჩვენებელთა შეფასებით გაირკვევა უსაფრთხო დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის პოზიციას, თუ აღწარმოების როგორი დონე მიაჩნია მას ქვეყნისათვის საჭიროდ.

დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება უნდა განვასხვავოთ საერთო (ზოგადი) სოციალური პოლიტიკა, რომელიც დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედების სპეციალურ მიზანს არ ისახავს, მაგრამ ამა თუ იმ სახით, გარკვეულწილად, ხელს უწყობს მოსახლეობის აღწარმოების სასურველ რეჟიმს, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება და მთავრობა ისახავენ ორიენტირად.

კარგად გვემის, რომ პროგრამის შემუშავების შემდეგ დაწყებულ სოციალურ-დემოგრაფიულ რეფორმას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება, მაგრამ მისი ეტაპობრივი და რეგიონული განხორციელება რეფორმის დაფინანსებას რამდენადმე გააიოლებს და ეკონომიკურ რეფორმას ხელს არ შეუშლის.

საოჯახო პოლიტიკა (რომელიც ქვეყანაში ფაქტურად არ ტარდება) და თვით ტერმინიც ამ ბოლო დროს შემოვიდა ხმარებაში), შეიძლება ითქვას ვიწრო გაგებით, დემოგრაფიული განვითარების ჩარჩოებს არ სცილდება, მაგრამ ფართო გაგებით, მასში გაერთიანებულია როგორც დემოგრაფიული, ასევე სოციალური პოლიტიკის ღონისძიებანი. ამდენად, შეიძლება დავაცხადოთ, რომ საოჯახო პოლიტიკა არის ოჯახის სამივე ფუნქციის ურთიერთქმედებისაკენ მიმართული სახელმწიფოს ერთიანი სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ოჯახის პარძონულ განვითარებას. იგი განიხ-

გენერალური მიზნიდან გამომდინარე, კონცეფცია-პროგრამა ევოლუციურ განვითარებას ეფუძნება და სამ ეტაპს მოიცავს: ა) სარეაბილიტაციო (1998-2002 წწ.), ბ) სტაბილიზაციის პერიოდი (2003-2005 წწ.), გ) ევოლუციური კანონზომიერების უზრუნველყოფა. პირველი ორი ეტაპი ემთხვევა გაეროს მიერ გამოცხადებულ მსოფლიოში სიღატაკის ლიკვიდაციის ათწლიან პერიოდს (1996-2006 წწ.), მესამე ეტაპიდან კი, ალბათ, დაიწყება აღწარმოების მეთხე ფაზა, რომლის დროსაც ხდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მეტ-ნაკლები სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელი ევოლუციური განვითარების უზრუნველყოფა.

კონცეფციის ძირითადი ამოცანაა: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის შესაბამისად განისაზღვროს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების პრიორიტეტები და საოჯახო პოლიტიკის ეროვნული პროგრამის ძირითადი მიმართულებები. ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეიქმნას სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს ფორმირების პირობები.

კონცეფცია-პროგრამის ყურადღების ცენტრში ოჯახი – განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახი უნდა იყოს, რათა მოხდეს მისი ძირითადი ფუნქციების რეაბილიტაცია. მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი აქცენტი ოჯახის ეკონომიკაზე უნდა გადავიტანოთ. ოჯახების ბიზნესის (სოფლად ფერმერული მეურნეობების) განვითარებით

მარიამ მირიანაშვილი, საქართველოს პარლამენტის ქალთა და ბავშვთა დაცვის და ოჯახის განვითარების საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;

ავთანდილ სულაპირიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

გამოსვლა



„განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მომზადდა სტატისტიკური კრებული „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა გარკვეული სემოქმედება მოახდინა სოციალური სფეროს უმნიშვნელოვანესი დარგების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, შეიქმნა რეფორმების განხორციელების აუცილებლობა, რომლის წარმატების ერთ-ერთი პირობაა საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება. ამის შესაბამისად საქართველო, მიუხედავად სიმბეჭდვისა, მაინც გადადის მსოფლიოში აპრობირებულ განათლების სისტემაზე.

სათვის რეგისტრირებული იყო 168 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც სწავლობდა 10 ათასზე მეტი მოსწავლე.

1997/98 სასწავლო წელს ქვეყნის 81 სახელმწიფო და 47 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ირიცხებოდა 35,2 ათასი მოსწავლე. მათ შორის სახელმწიფო სასწავლებლებში – 30,0 ათასი, აქედან 25,7 ათასი – საბუნებრივ სექტორზე და 4,3 ათასი – ფასიანი განყოფილებაზე, არასახელმწიფო სასწავლებლებში – 5,2 ათასი მოსწავლე.

1997/98 სასწავლო წელს სტატისტიკის ორგანოების მიერ აღირიცხებოდა 23 სახელმწიფო, 7 მათთან არსებული ფილიალი და 159 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებელი. 1997 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში რეგისტრირებული იყო 267 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებელი.

II თავში მოცემულია ინფორმაცია მეცნიერების განვითარების შესახებ. 1997 წელს ქვეყანაში სამეცნიერო კადრების მომზადება ხორციელდებოდა 66 სამეცნიერო დაწესებულებაში, მათ შორის – 15 სასწავლო ინსტიტუტში, 51 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ირიცხებოდა 1911 ასპირანტი, 1540 სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი და 18 დოქტორი.

III თავში მოცემულია ინფორმაცია კულტურის სფეროს შესახებ. 1997 წლის მონაცემებით საქართველოში 32 პროფესიული თეატრია.

1997 წელს აღირიცხებოდა 2425 მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკა 2,2 მლნ. მითხველით. ფუნქციონირებდა 96 მუზეუმი (1996 წელს – 92), სადაც დამთვალიერებელთა რიცხვითადაც 368,4 ათასი კაცი შეადგინა (1996 წელს – 356,5 ათასი).

1997 წლის მონაცემებით წიგნებისა და ბროშურების ტირაჟი 0,8 მლნ. ეგზემპლარია, 1996 წელსთან შედარებით მდგომარეობა არ შეცვლილა, ხოლო ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების წლიური ტირაჟი – 0,2 მლნ. ეგზემპლარი. შარშან გამოცემული გაზეთების რიცხვმა 139 შეადგინა, რაც 16 ერთეულით აღემატება 1996 წლის მაჩვენებელს.

ისე რომ, სტატისტიკური კრებული „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“ უდავოდ საჭირო ცნობარია ნებისმიერი სპეციალისტის მკითხველისათვის.

ფოტოჟურნალისაჟი



თურქეთის სახელმწიფო მდებარეობს მცირე აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ზოგჯერ ტერმინს „მცირე აზია“ აიგივებენ „ანატოლიასთან“, რომელიც თურქეთის ტერიტორიის 97 პროცენტს მოიცავს. ქვეყნის ფართობის დანარჩენი 3 პროცენტი ევროპაშია მოქცეული.

ანატოლია უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი სამშობლოა. ჯერ კიდევ VII-VI ათასწლეულებში ჩვენს ერამდე აქ მაღალგანვითარებული, კულტურულად დაწინაურებული დასახლებები არსებობდა. ცენტრალურ ანატოლიაში IX-VIII საუკუნეებში ჩვენს ერამდე კი მდებარეობდა ნეთების უძლიერესი მონათმფლობელური სახელმწიფო. ასევე კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის კერას ეკუთვნის აღმოსავლეთ ანატოლია. მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა ურარტუს სახელმწიფო (XI-VII სს ჩვ. ერამდე).

ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველი ტომებით — ჰანები და ლაზები. ეთნონომი „ჰანი“ თურქეთში ჩვენს დრომდე შემონახა პონტის მთების ჰანიკის ქედის სახელწოდებაში. ეთნონომი „ლაზი“ კი მისცა სახელწოდება ამ ხალხის ქვეყანას — ლაზიკას, რომელიც თურქებმა გადააკეთეს ლაზიკანად. როგორც ნ. მარტი თვლის, ადრე ჰანებისა და ლაზების ტომები განსახლებული იყო დიდ ფართობებზე არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ დასავლეთითაც. IX-VIII საუკუნეებში ჩვენს ერამდე ჰანებისა და ლაზიკის ზღვისპირა ნაწილში ცალკეული ბერძნული კოლონიები დაარსდა. მაკედონის იმპერიის დაშლის შემდეგ აქ აღმოცენდა ბერძნულ-ლაზური პონტოს სამეფო. III-VI საუკუნეებში ლაზებმა შექმნეს ეგრისის სამეფო. X საუკუნეში ლაზიკა შეუერთდა ქართულ სამეფოს. XIII საუკუნის დასაწყისში ლაზიკაში საქართველოს მხარდაჭერით შეიქმნა ბერძნულ-ლაზური სახელმწიფო — ტრაპიზონის იმპერია.

თურქეთის ძირითადი მოსახლეობა თურქებია. აქ შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, აგრეთვე, ქურთები, არაბები, ჩერქეზების სახელით გაერთიანებული კავკასიელი მიიღები — აღიღები, უზბეკები, ჩეჩენები, ოსები, ლეკები და სხვა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობენ ქართველები, მათ შორის ლაზები და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. შედარებით მცირე რაოდენობით თურქეთში ცხოვრობენ აფხაზები.

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თურქეთში ჩატარდა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მოსახლეობის პირველი აღწერა. ამ პერიოდის განმავლობაში თურქეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ და შემაღლდნობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამჟამად თურქეთი არის ბევრად უფრო ურბანიზებული ქვეყანა, ვიდრე ის იყო წინათ. მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, გაიზარდა მასშტაბული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემცირდა შობადობა და მოკვდაობა. მიუხედავად ამისა, თურქეთში ჯერ კიდევ მაღალია მოსახლეობის მატების ტემპი. მისი მოსახლეობა ყოველ ოცდაათ წელიწადში ორმაგდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთის მოსახლეობა საშუალოდ წელიწადში 600-900 ათასი კაცით იმატებს. თუ 1927 წლის აღწერის მიხედვით თურქეთში 13,6 მილიონი კაცი ცხოვრობდა, 1955 წელს

ეს მაჩვენებელი 24,0 მილიონს უდრიდა, ხოლო 1995 წელს — 62,5 მილიონს. ამრიგად 1927-1995 წლებში თურქეთში მოსახლეობა 4,6-ჯერ გაიზარდა. ამავდროს, მოსახლეობის მატება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არათანაბრად ხდებოდა. მოსახლეობის მატება საშუალოდონეს ბევრად აღემატებოდა ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ქვეყნის



შეადგინა, მაშინ როდესაც მიგრანტ ქალებში ეს მაჩვენებელი 2,36, ხოლო ადგილობრივ, არამიგრანტ ქალებში — 1,79 ბავშვს უდრიდა. მიგრაციის გარეშე სტამბულის მოსახლეობა უკვე შემცირდებოდა.

მილიონობით სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ქალაქში გადასახლება მნიშვნელოვანდ გააძაბავა ქვეყნის სო-

**ვაჟა**  
**ლორთქიფანიძე,**  
**საქართველოს**  
**სახელმწიფო**  
**მინისტრი,**  
**ეკონომიკის**  
**მეცნიერებათა**  
**დოქტორი.**

# ჩვენი გეოგრაფიული თურქეთი

სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და მარმარილოს ზღვისპირეთში.

თურქეთის მოსახლეობის ზრდაზე არსებით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მერვე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. თუ 30-იან წლებში სოფლის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადადიოდა ქალაქში საცხოვრებლად, 50-იანი წლებიდან თურქეთში ურბანიზაციის პროცესი აქტიურად დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. ამდენად, ქვეყანაში მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპი გარკვეულწილად შეანემა მიგრაციულმა პროცესებმა.


1927-1990 წლებში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 14,2-ჯერ, ხოლო სოფლის მოსახლეობა — მხოლოდ 2,2-ჯერ. როგორც ცხრილიდან ჩანს, ქალაქის მოსახლეობა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადიდა. 1985-1990 წლებში აბსოლუტურმა მატებამ 5915 ათასი კაცი შეადგინა, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში უკვე დაიწყო სოფლის მოსახლეობის კლება. მთლიანად კი 1927-1990 წლებში ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 16,4 პროცენტთან 56,3 პროცენტამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით სწრაფად მოიმატა მსხვილი ქალაქების მოსახლეობა, რაც ძირითადად განპირობებულია მიგრაციული პროცესებით. ისინი ვახდენენ მიგრანტების მიზიდულობის ცენტრები არა მარტო სოფლებიდან, არამედ საშუალო და პატარა ქალაქებიდანაც. განსაკუთრებით გაიზარდა სამი მსხვილი ქალაქი — ანკარა, სტამბული და იზმირი (ათასობით):

	1927 წ.	1950 წ.	1980 წ.	1990 წ.
ანკარა	49	288	1878	2559
სტამბული	350	983	2773	6620
იზმირი	82	228	758	1757

აღნიშნული სამი ქალაქის მოსახლეობა, როგორც ვხედავთ, სწრაფად იზრდება უკანასკნელ წლებში. 1990 წელს მათში კონცენტრირებული იყო თურქეთის ქალაქის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი — 34,4 პროცენტი.

ინტერესმოკლებული არ არის იმის აღნიშვნაც, რომ მიგრანტებში ბევრად უკეთესია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაში. მაგალითად, 1988 წელს შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა სტამბულში 2,22 ბავშვი

ციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობები. პირველ რიგში ეს შეეხება ქალაქებში მიგრანტების დასახლებას, მათ საბინაო პირობებს, ქალაქური ცხოვრების წესის ათვისებას და სხვა. ასეთ ვითარებაში თურქეთში წარმოიშვა მიგრაციის ახალი ფორმა — გარე მიგრაცია. უმუშევარი შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქმნა სამუშაოს საძებნელად უცხოეთში ეცადა ბედი. ამდენად ეკო-



ნომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს საზღვარგარეთ თურქი მოქალაქეების წასვლა. 1966 წელს ქვეყნის მრეწველობაში დასაქმებული მუშის საშუალო დღიური ხელფასი 23,5 ლირას შეადგენდა, მაშინ როდესაც საზღვარგარეთ არაკვალიფიციური მუშა 40 ლირას ღებულობდა.

პირველად ასეთი სახის შრომითი მიგრაციები 60-იან წლებში დაიწყო. თურქმა მუშებმა უპირატესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიამართეს, ძირითადად კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამ ქვეყანაში დასაქმებულ უცხოელებში 70-იან წლებამდე რაოდენობრივად იტალიელები ლიდერობდნენ, მაგრამ შემდეგ პირველი ადგილი თურქებმა დაიკავეს. მარტო გერმანიაში 1961-1973 წლებში სამუშაოდ წავიდა 648029 თურქი მუშა. 1986 წელს, ოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ 1,1 მილიონი თურქი მუშა იმყოფებოდა. ამავე წელს, თუ მხედველობაში მივიღებთ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული თურქი მოქალაქეების ოჯახის წევრებსაც, საზღ-

ვარგარეთ წასული თურქების საერთო რაოდენობამ 2,3 მილიონ კაცს მიაღწია, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 4,5 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1980 წლიდან შეიცვალა გარე მიგრაციის მიმართულებები. თურქეთიდან სულ უფრო მეტი მოქალაქე მიდის სამუშაოდ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ძირითადად ლივიაში და საუდის არაბეთში. ამავე პერიოდში ბევრი თურქი გერმანიიდან თავის სამშობლოში დაბრუნდა.

შესაბამისი მონაცემების ანალიზისა და მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთი ჯერ კიდევ შორსაა დემოგრაფიული ვადისგან და მათავრების საგან. ამას მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშებების მონაცემებიც ცხადყოფენ.

დემოგრაფიული პროგნოზები საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვჭვრიტოთ მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი პარამეტრები და მომავალი დემოგრაფიული სიტუაცია. როგორც წესი,

პროგნოზირება ხდება ისეთი დემოგრაფიული მაჩვენებლების, როგორცაა: მოსახლეობის რიცხვი, სქესობრივი-საკორივი სტრუქტურა, შობადობისა და მოკვდაობის დონე, მიგრაციის მასშტაბები და სხვა.

პროგნოზული გაანგარიშებების მიხედვით 2015 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება შობადობის ჯამობრივი და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები. ეს უკანასკნე-

ლი ერთის ტოლი გახდება, რაც იმის მაშველებელია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ადგილი ექნება მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. 2055-2075 წლებსათვის ან უკვე ადრეც მოხდება მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია და თურქეთის მოსახლეობის დემოგრაფიული ვადისგან შეიძლება დამთავრებულად ჩათვალოს.

თურქეთში ქართველები განსახლებულია საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ართვინის, რიზეს, ტრაპიზონის, გიუმუშანეს, გირესუნის, ორდუს, სამსუნის, ერზუმის, ერზინჯანის, ამასისა და სინოპის ვილაიეთის გარკვეულ ნაწილებს, ჯარის ვილაიეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებს და სხვა. ამ ტერიტორიებზე, როგორც თურქი ისტორიკოსი დოღან ავჯიოღლუ აღნიშნავს: „XI საუკუნის დასაწყისში, თურქების მოსვლამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ქართველები ქართველები და ლაზები, რომელთა ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა.“ ქართველთა კომპაქტური დასახლებები გვხვდება, აგრეთვე, მარმარილოს ზღვისთან ახ-

ლოს, ბილიქისერის ვილაიეთში, თურქეთის ევროპულ ნაწილში — სტამბოლსა და მისი გარეუბნის სოფლებში.

მეტად ძნელია თურქეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობის განსაზღვრა. მოსახლეობის აღწერები არ იძლევა მონაცემებს თურქეთში ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობაზე. ამიტომ თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ ზიარად სრულიად დაუსაბუთებელი, მხოლოდ პირად ალლოზე დაფუძნებული მონაცემები მოაქვთ. აღნიშნავენ, რომ თურქეთში ორი, ხუთი, შვიდი და ათი მილიონი ქართველიც კი ცხოვრობს. საერთოდ, ამ ასპექტში საჭიროა გავარკვიოთ მთავარი საკითხი, თუ ვინ ჩავთვალოთ ქართველად. ალბათ, ყველაზე მისაღებია პროფ. ვ. ჯაოშვილის მოსაზრება: „ასიმილაციის პროცესი არ არის უკუქცევადი. თურქეთში ძალიან ბევრია ქართველური წარმოშობის ადამიანები, მაგრამ თუ მათ აღარ იცნავენ ქართული ენა და მხოლოდ ზნე-ჩვეულებებში შემორჩათ ზოგი რამ ჩვენებური, მივაკუთვნოთ ისინი ქართველებს? უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა — განვსხვავოთ ერთმანეთისაგან ქართველური წარმოშობის, მაგრამ თურქებთან უკვე ასიმილირებული ადამიანები მათგან; ვინც ჯერ კიდევ ფლობს ქართულ ენას?“ თუ საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ, მაშინ ქართველური წარმოშობის, მაგრამ ეროვნულ ცნობიერებადარკვეული ქართველი გაცილებით მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ეროვნულ თვითშეგნების მატარებელი ქართველი.

შედარებით უახლესი თურქული სტატისტიკის მიხედვით ამჟამად თურქეთში 130 ათასი ქართველი ცხოვრობს. დაახლოებით იგივე მონაცემებია მოტანილი ქართულ ენციკლოპედიაში: „თურქეთში ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქართველები, მ.შ. ლაზები (120 ათასი კაცი)“. უკანასკნელ ორ შემთხვევაში ქართველების რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე, რაც არასაკმარისია პრინციპული დასკვნების გასაკეთებლად, რადგან მშობლიური ენის დაკარგვა ყოველთვის როდინიშნავს ეროვნული თვითშეგნების დაკარგვასაც. აქედ. პ. გულუშვილს მოაქვს სხვადასხვა მეცნიერთა გაანგარიშებანი თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის შესახებ. დ. კორივი — ველდენციკის გაანგარიშებით პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველთა რაოდენობა თურქეთში 700 ათას კაცს უდრიდა, ხოლო ბ. დანცინგის მიერ შესწავლილი მასალებით 1945 წელს თურქეთში 200 ათასი ლაზი ცხოვრობდა. პროფ. ვ. ჯაოშვილის აზრით, ყველაზე ახლოს რეალობასთან შესაძლოა ლუნდშუვერის ცნობა ჩანდეს, რომლის თანახმადაც ჩვენს საუკუნის შუა წლებში ქართველებისა და ლაზების რაოდენობა თურქეთში შეადგენდა 300 ათასს.

საბოლოოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მშობლიური ენა არ არის ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი ეროვნების განსაზღვრავად, ამავე დროს, თურქეთის ზოგიერთი ვილაიეთში ქართველები ჯერ კიდევ შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, საერთოდ, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებსა და მონაცემებს გავანალიზებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად თურქეთში 500 ათასი ქართველი მინიმუმ ცხოვრობს. გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენს მხედველობაში გვყავს ის ქართველები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ეროვნული თვითშეგნება. რაც შეეხება წარმოშობით ქართველებს, რათქმა უნდა, მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, ორ-სამ მილიონს და შეიძლება მეტსაც აღწევდეს.

## სახალისო სანთისიკა

● **გამართიანმა** უკრაინის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ გარემოს დაცვის პროგრამაში ერთდროულად დაჭერილია ორი კუნძული... 1989 წლის მონაცემებით ხმელთაშუა ზღვის 17 ქვეყანაში ცხოვრობდა 360 მილიონი კაცი, რომელთაც ჰქონდათ 17,5 მილიონი საკუთარი ავტომობილი. ექსპერტთა ვარაუდით 2025 წელს ამ რეგიონში მოსახ-

ლეობა მიაღწევს 550 მილიონ კაცს, რომელთა მფლობელობაში იქნება 175 მილიონი საკუთარი „რკინის მერანი“. მოსახლეობის 1,5-ჯერ, ხოლო ტრანსპორტის 10-ჯერ ზრდა სერიოზული პრობლემების წინაშე დაყენებს ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყანას. ● **საზრანბმითი** ქალაქ ლამანაში 57 წლის რაიმონდ პომპი, რომელიც ხელფურცლად განაყოფიერეს, შობა სამი

ტყუბი ბიჭი. აქ გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ... პირველი ბავშვის შემდეგ მშობიარობა შეწყდა და განახლდა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ. ამ არაჩვეულებრივმა შემთხვევამ საგონებელში ჩააგდო არა მარტო ექიმები, არამედ მშობის მუშაკებიც. ბოლოსდაბოლოს, ტყუბუბად ჩაწვენიერდა მოვლენილები, წინამასწარა კი აღიარეს მათ უფროს მამა.

## ვინა ხარო?

● **თბილისის** ქუჩებში სიარულისას ხელში ათასგვარი რაღაცა შემოაჩვენებენ. ზოგი ვახლომას ვაჩვენებ, ზოგი — კიბოს მორჩინას, ზოგი ანტალაში „ზღვ ვადალას“... ამ ორიოდ დღის წინათ კი მერაბ კოსტავას ქუჩაზე, ფეხით მოსაარულეთა გვირაბთან ერთი კაცადარა გოგონა გადამხეობდა და ქალაქის პატარა ნაჭერი მომაწოდა. სიამარვე გითხრათ, წაკითხვა არც მინდ-

## გვირჩავენი

● ოდა, მაგრამ თვალი მინც ვამებარა. და ოი, გაოცებაც! მოკლე და გასაგებია: „ხანძარი ოქტომ. 1. არ გაიყაროთ; 2. არ იზუბოთ; 3. არ იზუბოთ.“ მეტი არაფერი. არც გვიარა, არც სახელი, არც ტელეფონი, არც ორგანიზაცია, არც პარტია... გვითხარით, ხალხო, ვინა ხართ? ნეტა რა გავტე დასასალი, თუკი ამ უზნობის აღზვევის ეამს ასე საჭიროდ, ასე სასიკეთოდ გვამძღვრავთ? **ბაბრი იაშვილი.**

საპალაო სტატისტიკა

წინ - წყალი, უკან - მენყერი

ინფლაციას უთქვამთ, - ჩვენი სახლი ჩვენი ციხე-სიმაგრეა. შეიძლება ეს ინფლაციისთვის მართლაც ასეა, მაგრამ საკმაოდ ბევრი ერისთვის, მაგალითად, - კამბოჯელთათვის, ავღანელთათვის, აზერბაიჯანელთათვის და ქართველთათვისაც საკუთარი სახლი ციხე-სიმაგრედ კი არა, უბრალო ხუხულადაც აღარ დარჩა...

ჩვენი ძირითადი კონფლიქტებია. ქვეყნის შიდა ლტოლვილები არიან 57 სახელმწიფოში. ნუსხა იწყება სუდანით, სადაც 4 მილიონი უსახლკაროა. 15 წელიწადია, რაც სუდანში სამოქალაქო ომია. აქ შიმშილით სიკვდილის მარცხენა კენჭს ეყვლება მალაიის მსოფლიოში.

თუმცა, ერთ სულზე განგარიშებით აშშ მე-10 ადგილზე აღმოჩენილა. თითოეულ ამერიკელს მიუსაფართა ცხოვრების შესამსუბუქებლად ოჯახის ბიუჯეტიდან მხოლოდ 1,32 დოლარი გაუმეტებია. გულუხვთა სიაში პირველი ნორვეგია ყოფილა. ყოველ ნორვეგიელს უცხო ქვეყნების ლტოლვილთა დასახმარებლად 12,36 დოლარი გადაუხდია.

იხარო იროვნული



„მ.ბ. №5-ში გამოქვეყნებული გამოცანის პასუხი: ა) დედა - 27 წლის; ბ) შვილები - 9, 3, 1 წლის.

- მამიკო, სტაგისტიკურ წელიწდეულში ამოვიკითხე, ოჯახი საშუალოდ 4,1 ადამიანისაგან შედგება. ნება ვინდა ეს 0,1? - რა თქმა უნდა, - ოჯახის მამა!

გამხდარი ჭიჭიკია მიპყვება თავის ჩაგროვებულ - ჩაფუძვლებულ ცოლს. წინ ხვდება ბიჭიკია და ეკითხება: - ჭიჭიკო, აი შენი მეორე ნახევარია? - არა, ჩემი ორი მესამედია!

- რაგომ მოითხოვე განქორწინებას? - ეკითხება მოსამართლე ქმარს. - ხასიათების სრული შეუსაბამობის გამო. - რაში გამოიხატება? - მე გაყრა მინდა, მაგას კი - არა!

- დედი, რაგომ ითვლება სოლომონი ყველაზე ბრძენ ადამიანად დედამიწის ზურგზე? - იმიტომ, რომ ბევრი ცოლი ჰყავდა და ყველა მათგანს ჰკუას ეკითხებოდა.

მოსამართლე ძალზე ინტერესდება: - როგორ, ცოლი 10 წელიწადია თევშებს ვესვრით და მხოლოდ ახლა ამოიღეთ ხმა? - აქამდე მიზანში ვერ არგყამდა...

- მერამდენე მამაკაცი ვარ შენთვის? - ქალი ღუმს. - კაცი 10 წუთის შემდეგ კითხვას უმეორებს. - დამაცადე, ვითვლი...

- თქვენი გოგონაც თბილისში დაიბადა? - ეკითხება აღმწერი დიასახლისს. - დიას, თბილისში დაიბადა. - რაგომ აცყუებ, დედიკო? - ყურები ცქვიცა 3 წლის თინამ, - მე ხომ კომბოსტოში მიპოვეთ?

გზაჯვარაღიანი



ტყუპები

ახლახანს იაპონიაში საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს ორი ტყუპი ქალბატონის 106 წლის იუბილე. ისინი ყველაზე უხეცო ტყუპები არიან მთელს მსოფლიოში. დღევანელი „ორეულები“ ზეიმზე მშვენივრად გამოიყურებოდნენ, - საკმელსაც გემრიელად შეექცეოდნენ და ხითხითოთაც გულბანად ხითხითებდნენ.

მოსკოვში ხმა გავიარდა, რომ ცნობილ მომღერალს კაი მეტოვს შეურთავს ორი ცოლი, ორი ტყუპი და. ერთი დისგან სამი წლის გოგონა ჰყავს, მეორისგან კი - წლინახევრის ბიჭუნაო. რაც მთავარია, ოჯახიდან ჩამიჩუმდები არ ისმის. ასეთ არაორღინალურ სიტუაციას საოცრად ეგუებიან ტყუპი დები, რომლებიც, 24-სართულიანი სახლის მაცხოვრებელთა მტკიცებით, ხშირად დასერილობენ ერთად თავიანთი პატარებით.

ბრძენი უთქვამთ ქორწინებასა და ოჯახზე

ყოველი ქორწინებისას ერთი წესი უნდა დავიცვათ: თითოეული ადამიანი ისე უნდა დაქორწინდეს, რომ ეს მარტო მისთვის კი არ იყოს სასარგებლო და სასიამოვნო, არამედ სახელმწიფოსთვისაც.

უნდა შეადგინოს თუ საკმაოდ იმედი მაქვს, რომ განხდა ლაპარაკი მშობლების უფლებებზე, მაშინ ყველაფერი უკვე გაფუჭებულია.

წლის შემდეგაც ისეთსავე პოეტურ გონივრულ ჩაგინებებს, როგორც საცოლო, - არა, უფრო პოეტურს, უფრო იდეალურს, - ამ სიტყვის კარგი გაგებით.